საქართველოს მოსამართლეთა XXIII რიგგარეშე კონფერენცია

24 მარტი, 2018 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა და საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის მიერ მოსამართლეთა ინფორმირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) ლევან თევზაძისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევის გამო.

2. 12:05 – 12:10 სთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს.

(„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება.)

3. 12:10 – 12:15 სთ.

მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს.

(*მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 წევრს (თავმჯდომარეს) ლევან თევზაძეს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) უფლებამოსილება შეუწყდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევის გამო.*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.)

4. 12:15 - 12:30 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით *(ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით)*

5. 12:30 - 13:30 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, I ტური - (*ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით).*

6. 13:30 - 14:30 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, II ტური - (*საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით. კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები.)*

14:30 - 15:30 სთ. - სადილი.

7. 15:30 - 16:30 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა (I ტური - ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)

8. 16:30 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა, II ტური - *(საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით. კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*